

**დიალოგის პრაგმატული ფუნქციები და
ზოგიერთი ენობრივი მახასიათებელი
მხატვრულ ტექსტში**

/გ. დოჩანაშვილის მოთხრობების მიხედვით/

**PRAGMATIC FUNCTIONS AND SOME LINGUISTIC
CHARACTERISTICS OF THE DIALOGUE
IN THE LITERARY TEXT**

**/ACCORDING THE EXAMPLES FROM G. DOCHANASHVILI'S
STORIES/**

რუსუდან ზექალაშვილი

Rusudan Zekalashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: მწერლის ენა, ფიქტიური დიალოგი,
დიალოგის სიგნალები, ენობრივი მახასიათებლები

Keywords: Writer's language, dialogue's signals, fictional dialogue,
linguistic characteristics

დიალოგი ადამიანური კომუნიკაციის ერთ-ერთი ურთულესი, მაგრამ ძალზე გავრცელებული ფორმაა. მართალია, თანამედროვე ლინგვისტიკა უფრო მეტ ყურადღებას უთმობს სპონტანურ ყოფით საუბრებს, მაგრამ კვლევისთვის საინტერესოა პროზაული ლიტერატურული ნაწარმოებების დიალოგებიც. ეს ერთ-ერთი დინამიკური საშუალებაა პერსონაჟთა დახასიათებისა და მათი ურთიერთობის, ქცევებისა და ქმედებების ინტერპრეტაციისათვის. დიალოგთა მრავალფეროვნება და ხასიათი განპირობებულია გადმოსაცემი შინაარსითა და ავტორის მიზანდასახულებით. სხვაობა რეალურ და მოდელირებულ (მწერლისეულ) დიალოგებს შორის აშკარაა, მაგრამ მათი ძირითადი ენობრივი მახასიათებლები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება.

ნებისმიერი დიალოგის აგების სპეციფიკა თუ ენობრივი გაფორმება დამოკიდებულია მასში მონაწილეთა სოციალურ სტატუსზე, კომუნიკანტთა შორის ურთიერთობასა და საკომუნიკაციო სიტუაციაზე, მაგრამ რეალური დიალოგი სპონტანურია, მოუმზადებელი, მხატვრულ ლიტერატურაში კი ის ფიქტიურია (მოდელირებულია) და ექვემდებარება ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს.

სხვადასხვა ქართველი მწერლის ტექსტებში მოცემული დიალოგები წარიმართება ოფიციალურ ან არაოფიციალურ გარემოში და ძალზე მრავალფეროვანია როგორც შინაარსის, ისე ენობრივი გაფორმებისა თუ სტრუქტურის მიხედვით. განსაკუთრებით საინტერესოა სიმეტრიული და ასიმეტრიული დიალოგები, რომელთა დაყოფის საფუძველია კომუნიკანტთა სოციალური მახასიათებლები და დიალოგის მონაწილეთა ურთიერთდამოკიდებულება.

ჩვენ შევისწავლეთ დიალოგები გ. დოჩანაშვილის რამდენიმე მოთხრობის მიხედვით, რომლებშიც გამოყენებულია მათი უამრავი ნაირსახეობა. გასაოცარია მწერლის ვირტუოზულობა. ხშირად მოთხრობა პირველივე ფრაზიდან დიალოგურია, საუბარი წარიმართება არა მარტო პერსონაჟებს შორის, არამედ ავტორი თავისი რემარკებით მრავალგზის მიმართავს მკითხველს და მასაც ხდის მოქმედების ერთ-ერთ მონაწილედ. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოსაყოფია ვრცელი მოთხრობა „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“.

ენობრივ მახასიათებელთა შორის უნდა დავასახელოთ ე.წ. დიალოგის სიგნალები: სტრუქტურულ-კომპოზიციური და შინა-არსობრივ-მოდულიზაციური. საყურადღებოა ასიმეტრიული დიალოგები, რომელთა შემადგენლობაში ვხვდებით ფატიკურ ლექსიკურ ერთეულებსაც. აღსანიშნავია ერთ-ერთი მხატვრული ხერხი, როცა პერსონაჟი დიალოგში რამდენიმე ფრაზას მეგრულად ამბობს და ამას მწერალი იყენებს, როგორც გაუცხოების ერთ-ერთ საშუალებას (მოთხრობა „იოჰან სებასტიან ბახი“).

დიალოგების სახეები განვიხილეთ და მათი ზოგიერთი ენობრივი მახასიათებელი გამოვყავით გ. დოჩანაშვილის შემდეგ მოთხრობებში: „საქმე“, „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარს“, „ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება“, „იოჰან სებასტიან ბახი“ და „ვატერ(პო)ლოო ანუ აღდგენითი სამუშაოები“.

ლიტერატურა:

- არუთინოვა, ნ. დ.** – Arutyunova, N. D. (1999). Yazyk i mir cheloveka [Language and the human world]. 2nd ed. rev. Moscow: Yazyki ruskoj kultury.
- ბახტინი, მ. მ.** – Bakhtin, M.M. (1996). Problema rechevyh zhanrov [The Problem of Speech Genres]. Bakhtin, M.M. Sobranie sochinenij, T. 5: Raboty 1940-1960 gg. [Collected Works, Vol. 5: Works from 1940–1960], Moscow: Russkie slovari, 159-206.
- ბრონვენი, თ.** – Bronwen, Th. (2012). Fictional Dialogue: Speech and Conversation in the Modern and Postmodern Novel (Frontiers of Narrative). Lincoln: University of Nebraska Press.
- დოჩანაშვილი, გ.** (2015). მოთხრობები (რედ. ნ. ელიზბარაშვილი), წ. 2, თბილისი: მერიდიანი.
- ზექალაშვილი, რ.** (2012). ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბილისი: „უნივერსალი“.
- იაკუბინსკი, ლ. პ.** – Yakubinsky, L. P. (1986). O dialogicheskoy rechi [On Dialogical Speech]. Izbrannye raboty: Yazyk i ego funkcionirovanie [Selected Works: Language and its functioning]. 17-58. Moscow: Nauka.

კვანტალიანი, ლ. (1990). ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები (რედ. გ. როგავა), თბილისი: „მეცნიერება“.

სერგია, ვ. (1990). დიალოგური მეტყველება ახალი ქართული ენის მონაცემთა მიხედვით. „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, №3, ენისა და ლიტერატურის სერია. ტ. 140, 645-647. თბილისი: „მეცნიერება“. ISSN 0132-1447.

Dialogues are one of the most complicated widely used forms of human communication. Indeed, modern time linguistics is mostly interested in real-time spontaneous dialogues, but the dialogues from the prosaic literary pieces are also very interesting. They represent one of the most dynamic means of interpretation and description of the interrelations, behaviour and varieties of the actions of the literary characters. The diversification and character of the dialogues are conditioned by the contents they are delivering and the aims of the author. Differences between the real and modelled by a writer dialogue are evident, but their main linguistic features do not differ very much.

The specifics of any dialogue building and its linguistic style depend on social status, interrelations of the communicants and the situation in which the given communication takes place, but a real, everyday style dialogue is spontaneous, not previously prepared and as for the fiction, it is modelled, a fiction which subordinates to the author's idea.

In the pieces of the different Georgian writers both types of dialogues – official and non-official are represented as multisided by their content, language or structure; especially, symmetric and asymmetric dialogues are very interesting; their division by types is based on the social characteristic features and mutual estimation and relations of the participants.

We have studied the dialogues in some literary pieces by Guram Dochanashvili and we discovered a lot of varieties among them. The virtuosity of the writer is clear; sometimes, a story begins with a dialogue from the very beginning; talk is going on not only the participants, but the author often uses his remarks to appeal to a reader and makes them a participant

of the given story. Especially interesting, from that point, is the story “Water(po)loo or the Recovery Work.”

The so-called dialogue signals have to also be named– structural-compositional and content-modification ones. Asymmetric dialogues are also very interesting; they contain phatic lexical units. One more interesting example is also the case of asymmetrical dialogue when a personage of one story (“Johannes Sebastian Bach”) utters some phrases in Megrelian, and this is used as a means of expressing the estrangement by the author.

We have discussed the dialogues from the following literature pieces by Guram Dochanashvili, with their linguistic characteristics: “The Case”, “The Man Who Loved Literature Very Much,”

“The Love of One Thing that Needs Hiding,” “Johannes Sebastian Bach” and “Water(po)loo or the Recovery Work”.

References:

- Arutyunova, N. D.** (1999) *Yazyk i mir cheloveka* [Language and the human world]. 2nd ed. rev. Moscow: Yazyki russkoi kultury.
- Bakhtin, M. M.** (1996) *Problema rechevyh zhanrov* [The Problem of Speech Genres]. Bakhtin, M.M. *Sobranie sochinenij*, T. 5: *Raboty 1940-1960 gg.* [Collected Works, Vol. 5: Works from 1940-1960], Moscow: Russkie slovari, 159-206.
- Bronwen, Th.** (2012). *Fictional Dialogue: Speech and Conversation in the Modern and Postmodern Novel* (Frontiers of Narrative). Lincoln Nebraska: University of Nebraska Press.
- Dochanashvili, G.** (2015). *Motkhrobebi* [Stories], (ed. By N. Elizbarashvili), Vol. 2, Tbilisi: Meridiani.
- Zekalashvili, R.** (2012). *Kartuli dialoguri metqveleba (dziritadi lingvisturi da ekstralingvisturi makhasiateblebi)* [Georgian dialogic speech (Main linguistic and extra-linguistic characteristics)]. Tbilisi: Universali.
- Yakubinsky, L. P.** (1986). *O dialogicheskoy rechi* [On Dialogical Speech]. *Izbrannye raboty: Jazyk i ego funkcionirovanie* [Selected Works: Language and its functioning]. 17-58. Moscow: Nauka.

Kvantaliani, L.. (1990). Kartuli zepiri metqvelebis sintaksis sakitkhebi. [Issues of the syntax of the Georgian oral speech] (ed. by G. Rogava), Tbilisi: Metsniereba.

Sergia, V. (1990). Dialoguri metqveleba akhali kartuli enis monatsemta mikhedvit [Dialogic speech according to the new Georgian language]. Bulletin of the Georgian National Academy of Sciences, No3. Series of Language and Literature, Vol. 140. 645-647. Tbilisi: Metsniereba. ISSN 0132-1447.